ხელშეკრულება №41

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების
შესახებ
(CPV 45300000)

ქ. თბილისი 19 მარტი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი", წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „თბილი სახლი" (ს/კ 204976179) დირექტორი მალხაზ კურტანიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი $ь^1$ პუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის" დაზიანებული გათბობის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2966 (ორი ათას ცხრაას სამოცდა ექვსი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. სამუშაოს სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" გათბობა-გაგრილების სისტემის მაგისტრალის მიწისქვეშა ნაწილში დაზიანებული მონაკვეთის შეცვლისთვის საჭირო სამუშაოების შესრულებას დანართი #1 შესაბამისად.
3.2. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" მომსახურების მიწოდებას 15 კალენდარული დღეში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მოწოდებული სამუშაოს თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.
4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ ,,მომსახურების" მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.
ბ)დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.
8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მაისამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', ერთი ეგზემპლარი -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის №13
ტელ: 2 974101, 2 974102
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი: 3302 01 27

„მიმწოდებელი"

შპს „თბილი სახლი"
ს/კ 204976479
მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი №20
ტელ: (+995 32) 2 311 535
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE19BG0000000175579101

დირექტორ-მენეჯერი:

ნატალია ლომოური

დირექტორი

მალხაზ კურტანიძე

საქართველო, თბილისი 0160
ვაჟა-ფშაველას გამზ. №20
ტელ./ფაქსი: (995 32) 311 535, 311 525
ვებ-გვერდი: www.casacalda.ge
ელ-ფოსტა: casacalda@yahoo.com

ხარჯთაღრიცხვა

დამკვეთი: სსიპ მწერალთა სახლი

თარიღი: 19.03.2015

№	მწარმოებელი	პროდუქტ კოდი	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთ. მასალ. ღირებ.	საერთო ღირებულება	ერთ. მონტ. ღირებ.	საერთო ღირებულება	ჯამი
			გათბობის მილგაყვანილობა							
1	VESBO	Ø-75	პოლიპროპილენის მილი (დამცავი შრით) Ø-75	მეტრი	40	14,8	592,0	4,3	172,5	764,5
2			**ფასონური ნაწილები**	%	70%		414,4			414,4
3	ISOPIPE		იზოლაცია Ø-75-იანი მილისთვის	მეტრი	40	2,3	92,0	0,3	11,5	103,5
4			იზოლაცია ფოლგიანი მინაბოჭკო	მ2	20	2,5	49,2	2,9	57,5	106,7
5			**ფასონური ნაწილები**	%	30%		42,4			42,4
6			ელ.შედუღების სამუშაოები	დღე	2	0,0	0,0	62,5	125,0	125,0
7			მინის ამოთხრის სამუშაოები	მ³	3	0,0	0,0	166,7	500,1	500,1
8			ცემენტი	ც	1	9,3	9,3		0,0	9,3
9			ქვიშა	ც	4	0,9	3,4		0,0	3,4
10			ფილების დემონტაჟი-მონტაჟი	ჯამპ	1		0,0	200,0	200,0	200,0
			ჯამი				**1202,7**		**1066,6**	**2269,3**

სულ პირდაპირი ხარჯები		**2269,3**
ტრანსპორტირება	**5%**	**60,1**
ჯამი:		**2329,4**
ზედნადები ხარჯი	**8%**	**186,4**
ჯამი:		**2515,8**
გეგმიური დაგროვება	**10%**	**251,6**
ჯამი:		**2767,4**
დ.ღ.გ.	**18%**	**498,1**
სულ მთლიანი		**3265,5**

თანხა მოცემულია ეროვნულ ვალუტაში ლარში, დღგ ჩათვლით,

შპს ,,თბილი სახლი"
საიდენტიფიკაციო კოდი - **204976179**
ბანკი _ სს ,,საქართველოს ბანკის"-ს ცენტრალური ფილიალი
საიდენტიფიკაციო კოდი **BAGAGE22**
ანგარიშის № **GE19BG0000000175579101**

შპს ,,თბილი სახლი"-ს დირექტორი _ (ნანახია ჟურტანიძე)

საქართველო. შპს "თბილი სახლი" 204976179 GEORGIA. CASA CALDA Ltd